



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



2456/3-123/21 2 19032021

2456/3-123/21

19-03-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ ვახტანგ გომელაურს

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა #10

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, არსებული პროგრამების, მათი მოკლე აღწერილობის და ხანგრძლივობის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გიორგი ხელაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემია

გმირი კურსანტების ქ. №4,
თბილისი 0178, საქართველო
ტელ: (+995 032) 2414041
ელ-ფოსტა: policeacademy@mia.gov.ge



LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – ACADEMY OF
THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS
OF GEORGIA

4, Gmiri Kursantebis street,
Tbilisi 0178, Georgia
Tel: (+995 032) 2414041
E-mail: policeacademy@mia.gov.ge



MIA 5 21 00755163



29/03/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ გიორგი ხელაშვილს

ბატონო გიორგი,

2021 წლის 19 მარტის N2456/3-123/21 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში არსებული პროგრამების, მათი მოკლე აღწერილობისა და ხანგრძლივობის შესახებ.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი, იხ. მიბმულ ფაილებში.

პატივისცემით,

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის
რექტორი ივანე პაპიაშვილი

საბაზისო მომზადების პროგრამები

პოლიციელთა საბაზისო მომზადების პროგრამა

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ პატრულ-ინსპექტორის, მესაზღვრე-კონტროლიორის, უბნის ინსპექტორის და მართლწესრიგის ოფიცრის უფლება-მოვალეობები. სასწავლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა 14 კვირა. პროგრამა ითვალისწინებს 27 საგანს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების პროგრამა

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია მოქალაქეებისთვის, რომელთაც სურთ მომზადება მესაზღვრის პოზიციის დასაკავებლად. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა. პროგრამა მოიცავს 30 საგანს. სწავლება შედგება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილებისგან. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

გამომძიებელთა საბაზისო მომზადების პროგრამა

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც აწარმოებენ სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას. პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა 9 კვირა და მოიცავს 11 საგანს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

მეხანძრე-მაშველთა საბაზისო პროგრამა

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 კვირა. პროგრამა მოიცავს 9 საგანს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსი

სასწავლო კურსი განკუთვნილია პირებისთვის, რომელთაც სურთ მომზადება მესაზღვრე-კონტროლიორის პოზიციის დასაკავებლად. კურსის ხანგრძლივობაა 3 კვირა და მოიცავს 9 საგანს. სწავლება შედგება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილებისგან. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

დაწინაურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები

გამომდიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი

კურსი განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც აწარმოებენ სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას. სასწავლო კურსის საერთო ხანგრძლივობაა 7 კვირა და მოიცავს 14 საგანს. სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომდიებელთა მომზადების პროგრამა

სასწავლო პროგრამის მიზანია, მოქმედ თანამშრომლებს (სპეციალიზებულ პოლიციელებსა და გამომდიებლებს) გააცნოს არასრულწლოვნებისათვის მინიჭებული უფლებები, სტატუსის მარეგულირებელი ნორმები და მათი დაკითხვის სპეციფიკა. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 დღე. მოიცავს 1 მოდულს, რომელიც აერთიანებს 3 საგანს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს და ენიჭება არასრულწლოვანთა დაკითხვის უფლება.

ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების მომზადების კურსი

სასწავლო კურსის მიზანია შს სამინისტროს მოქმედი თანამშრომლების მომზადება ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, მოვლის, ტარების და გამოყენების წესებში. კურსი შესაძლოა განხორციელდეს ორი მეთოდით - არაელექტრონული და ნახევრად ელექტრონული ფორმით. არაელექტრონული მეთოდით კურსის ხანგრძლივობაა 6 დღე, ხოლო ნახევრად ელექტრონული კურსის ხანგრძლივობა არის 3 დღე. კურსი მოიცავს 1 მოდულს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საგანს. კურსის წარმატებით დახურვის შემდეგ მსმენელი იღებს იარაღის გამოყენების უფლებას და სერტიფიკატს.

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების მომზადების კურსი

სასწავლო კურსის მიზანია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა მომზადება ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, მოვლის, ტარების და გამოყენების წესებში. კურსის ხანგრძლივობაა 4 დღე. კურსი მოიცავს 3 საგანს. კურსის წარმატებით დახურვის შემდეგ მსმენელი იღებს იარაღის გამოყენების უფლებას და სერტიფიკატს.

დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი

სასწავლო კურსის მიზანია დმი-ს თანამშრომლების მომზადება/გადამზადება. კურსის ხანგრძლივობაა 27 დღე. კურსი მოიცავს 5 მოდულს. კურსის წარმატებით დახურვის შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ზღვაზე კანონდღსრულების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო პროგრამის მიზანია სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კანონდღსრულების სამსახურის თანამშრომლების გადამზადება. პროგრამის ხანგრძლივობაა 13 დღე. პროგრამა მოიცავს 3 მოდულს, რომელიც 10 საგანს. პროგრამის წარმატებით დახურვის შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების, ტერიტორიულ ორგანოებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და თანამდებობრივი დაწინაურებისათვის. სასწავლო პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა 2 კვირა და მოიცავს 5 სასწავლო კურსს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს სერტიფიკატს.

ტრენინგები

1. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურების სტანდარტები;
2. ტრენერთა სერტიფიცირების პროგრამა;
3. პირველადი სამედიცინო დახმარება;
4. საპოლიციო დანაყოფის მენეჯმენტი;
5. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი;
6. მესაზღვრე-კონტროლიორთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი ;
7. დანაშაულის ადგილის შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ელექტრონული პროგრამები/ტრენინგები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე, 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მენეჯერულ პოზიციაზე, 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით გამოწაკლისი წესით, დანიშნულ მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი;
3. სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული საქმის წარმოების ელექტრონული „CRIMECASE“-ის კურსი;

4. მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და სუბკულტურა;
5. სსშ ბარათის შევსების ინსტრუქცია;
6. ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი);
7. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო მანდატურთა გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
8. დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობასთან დაკავშირებით;
9. ელექტრონული სასწავლო კურსი საპოლიციო დანაყოფების მენეჯმენტში;
10. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა;
11. თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა სტატუსი;
12. საინფორმაციო - სასწავლო კურსი „არჩევნები და უსაფრთხოება“ ;
13. არჩევნები 2020;
14. შემაკავებელი ორდერისა და მისი ოქმის შევსების, ასევე ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისა და ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის ინსტრუქციები;
15. მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური მოკლევადიანი საბაზისო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი).